N 2336/53. 01.04.2016 წ.

საქართველო
საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 54 30
30/03/2016

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ–მოძრავი ქონების ელექტრონულ აუქციონზე სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემის მიზნით საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 122–ე მუხლის 1–ლი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის,54–ე მუხლის 1–ლი პუნქტის ,,დ.გ", „დ.დ" ქვეპუნქტის და „საჩხერის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისის საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 მარტის #15 დადგენილების საფუძველზე, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. საჩხერეში, ივ. გომართლის ქუჩაზე მდებარე #35.01.45.078.01.500 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული ორსართულიანი შენობის (სავაჭრო ცენტრი) პირველ სართულზე შენობის ფართი 633,74 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (წილობრივად) 1626 კვ.მ. და 75 ერთეული ინვენტარი, გასცეს ელექტრონული აუქციონის ფორმით სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, 4 წლის ვადით.

მუხლი 2. უძრავ–მოძრავი ქონების (შენობა–ნაგებობა, წილობრივი მიწის ნაკვეთი, ინვენტარი) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემისას საწყისი წლიური საფასური განისაზღვროს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის საფუძველზე დადგენილი ქონების ღირებულების 6 %–ის ოდენობით.

მუხლი 3. განკარგულება გაეგზავნოს საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში საჩხერის რაიონულ სასამართლოში (ქ. საჩხერე, დ. აღმაშენებლის ქ.#3).

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

თამაზ ნადირაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

საქართველო
საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის
ბრძანება

N 53 598
15/04/2016

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით იჯარით გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119–ე, 122-ე მუხლის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 მარტის #54 30 განკარგულების „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების ელექტრონულ აუქციონზე სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემის მიზნით საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საფუძველზე ვბრძანებ:

1. განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ქ. საჩხერეში, ივ.გომართელის ქუჩაზე მდებარე #35.01.45.078.01.500 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული ორსართულიანი შენობის (სავაჭრო ცენტრი) პირველ სართულზე შენობის ფართი 633.74 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1626კვ.მ მიწის ნაკვეთის (წილობრივად) და 75 ერთეული ინვენტარის, ელექტრონული აუქციონის ფორმით სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით (იჯარა) 4 წლის ვადით გაცემა.

2. უძრავ-მოძრავი ქონების (შენობა-ნაგებობა, წილობრივი მიწის ნაკვეთი, ინვენტარი) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გაცემისას საწყისი წლიური საფასური განისაზღვროს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის საფუძველზე დადგენილი ქონების ღირებულების (925726 ლარი) 6%-ის ოდენობით (55544.00 ლარი). „ბე“ და „ბიჯი“ საწყისი საიჯარო საფასურის 10–10 პროცენტი.

3. ბრძანება გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სააუქციონო კომისიას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.საჩხერე, დ.აღმაშენებლის ქუჩა #3).

მალხაზ გაზაძე

საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელი